ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№ 6 - 12 | 2740

თბილისი
01.12.2011წ.

ერთის მხრივ **შპს „საგზაო ტექნიკა"** (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის გიორგი როგავას სახით და **შპს „ინგი-77"**(შემდგომში „მიმწოდებელი") მისი დირექტორის შავლეგი ჩაგინავას სახით, მეორეს მხრივ შევთანხმდით და დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. საქონლის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ფასი განისაზღვრება წინამდებარე ცხრილის მიხედვით:

№	საქონლის დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
3	მილტუჩი დ150(159)	ცალი	9	25	225
4	მილტუჩი დ200	ცალი	7	45	315
5	მილტუჩი დ219	ცალი	4	45	180
6	მილტუჩი დ100(127)	ცალი	2	15	30
7	მილტუჩი დ80	ცალი	1	15	15
8	მილტუჩი დ89	ცალი	4	14	56
9	მილტუჩი დ104	ცალი	8	15	120
10	ჭანჭიკი 18*120	კგ	2	5	10
11	ჭანჭიკი 18*70	კგ	23	5	115
12	რეზინის სადები ფირფიტა 5მმ	კგ	14.8	8	118.40
13	ქანჩი მ18	კგ	5	5	25
14	ქანჩი მ20	კგ	17.1	5	85.50
15	სასოკი	ცალი	1	2.5	2.50
16	თუჯის ჩამკეტი სარქველი (რბილი) დ80	ცალი	2	140	280
17	ჩამკეტი სარქველი (რბილი) დ100	ცალი	1	170	170
18	მილის ფიტინგი მუხლი დ59*4	ცალი	30	4	120
19	მილის ფიტინგი მუხლი დ102*3.2	ცალი	8	15	120
20	ლითონის მილი დ159*4	ცალი	4	40	160
21	პარანიტის შუასადები დ110	ცალი	6	2	12
22	პარანიტის შუასადები დ89	ცალი	4	2	8
23	აზბესტის პარანიტის შუასადები დ150	ცალი	2	2.5	5
24	თუჯის ურდული დ100	ცალი	2	100	200
25	შუასადები დ200	ცალი	2	6	12
26	ფოლადის მუხლი დ200	ცალი	1	110	110
					2 494.40

2. საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 2 494.40 (ორი ათას ოთხასოთხმოცდაოთხი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებიდან და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში.
2.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში.

3. საქონლის მიწოდების ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2011 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით.
3.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი, წერეთლის გამზირი №118.
3.3. „მიმწოდებელი'' ვალდებულია „შემსყიდველს'' საქონელი გადასცეს შესაბამისად გამოწერილი სასაქონლო ზედნადებით, რომელზეც „შემსყიდველის" მიერ ხელმოწერა მიიჩნევა საქონლის მიღება-ჩაბარებად.

4. საქონლის ხარისხი და ინსპექტირების პირობები

4.1. შესასყიდი საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.
4.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
4.3. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შპს „საგზაო ტექნიკა''-ს შესყიდვების სამსახურის უფროსი მიხეილ გიორგაძე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:
   ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
   ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
5.2. ამ მუხლის 5.1. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილი იქნება.
6.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. თუმცა, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაატარონ ყველა კეთილგონივრული ღონისძიება, რათა მინიმალურ დროში იქნეს დაძლეული უუნარობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური დაგვიანებით შესრულების თვალსაზრისით. ამასთან, ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი;

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერისთანავე და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

შპს "საგზაო ტექნიკა"

მის: ქ. თბილისი,
ვაჟა-ფშაველას გამზირი №71
ს/კ: 205140257
ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი" –
კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE14BG0000000282521400

"მიმწოდებელი"

შპს "ინგი-77"

მის: ქ. თბილისი,
წერეთლის №118,
ს/კ: 206345748
ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი"
კოდი: MIBGGE22
ა/ა: GE53PC0133600100052140

გიორგი როგავა _____

205140257
შპს საგზაო ტექნიკა
ROAD TECHNIQUE LTD

შავლეგი ჩაგინავა _____

206345748